ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 176 (3153) 10 1966 წ. სექტემბერი შაბათი. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 23-ე წელი





თბილისში დამთავრდა საქართველოს პირველობა ველოსპორტში. სურათებზე (ზემოთ) საქართველოს ჩემპიონები 20 კილომეტრზე გუნდურ რბოლაში ვ. პოდოლსკაია (მარჯვნივ) და ა. პუტიატინა. ქვემოთ — რესპუბლიკის ჩემპიონები გუნდურ რბოლაში ჭაბუკთა შორის, (მარცხნიდან) ვ. პეტრინი, ვ. აფშილავა, ნ. კორჩევი და მ. ბულბულოვი. (შეჯიბრების დაწვრილებითი ანგარიში იხ. შემდეგ ნომერში).

ფოტო ბ. ქვათაძისა

საქართველოს სპორტკავშირში

## ფიზიკური კულტურისა და სპორტის პროპაგანდა — მაღალ დონეზე

საქართველოს სპორტკავშირის საბჭოს პრეზიდიუმმა ახლახან განიხილა საკითხი „ფიზიკური კულტურისა და სპორტის პროპაგანდის მდგომარეობის შესახებ ქ. ფოთისა და დუშეთის ფიზკულტურულ ორგანიზაციებში". აღინიშნა, რომ აქ ერთგვარი მუშაობა ჩატარდა ამ მხრივ. ადგილობრივი გაზეთების ფურცლებზე ხშირად იბეჭდება სტატიები ფიზიკური კულტურისა და სპორტის საკითხებზე, ეწყობა რადიოგადაცემები სპორტის ახალ ამბებზე. ფოთის სპორტკავშირთან შექმნილია სპორტული პროპაგანდის ლექტორთა ჯგუფი. კარგადაა დაყენებული სპორტის პროპაგანდის საქმე ელექტრო-მექანიკურ გამაძლიერებელ ქარხანაში, აქვთ ფოტო-სტენდი, გამოდის სპორტული კედლის გაზეთი, ხშირად ტარდება ლექციები, მოხსენებები, საღამოები.

მაგრამ ამ ორგანიზაციების მუშაობაში ჯერ კიდევ შეინიშნება ნაკლიც. ფოთისა და დუშეთის მთელი რიგი სპორტული ბაზები ნაკლებადაა გაფორმებული ლოზუნგებით, ტრანსპარანტებით, ადგილებზე არა აქვთ მოწინავე სპორტსმენთა ფოტო-სტენდები, რეკორდების ცხრილები და სხვ. სუსტადაა დაყენებული სსრ კავშირის ხალხთა IV საიუბილეო სპარტაკიადისადმი მიძღვნილი თვალსაჩინო პროპაგანდა, იშვიათად იბეჭდება სპორტულ შეჯიბრებათა აფიშები, არ ტარდება საქალაქო მასშტაბის ფიზკულტურული საღამოები, იშვიათად უჩვენებენ სპორტულ კინოფილმებს და სხვ.

აქედან გამომდინარე, საქართველოს სპორტკავშირის საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო საქმიანი დადგენილება, რომლის განხორციელების შედეგად ფოთისა და დუშეთის ორგანიზაციებში ფიზიკური კულტურისა და სპორტის პროპაგანდის მდგომარეობა უთუოდ გაუმჯობესდება.





◆ ლონდონი, 9 სექტემბერი. ქალაქ სტამფორდის ახლო მიმდინარე ცხენოსანთა მსოფლიოს I ჩემპიონატზე გახედნაში დამთავრებული შეჯიბრების შემდეგ საბჭოთა გუნდი პირველ ადგილზეა. სსრ კავშირის სპორტსმენებს 144 საჯარიმო ქულა აქვთ და 9,5 ქულით უსწრებენ მეორე ადგილზე მყოფ არგენტინელებს. პირად. პირველობაზე ჯერჯერობით წინაა ტოკიოს ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორი კ. მორატორია (არგენტინა).

◆ ლინცი, 9 სექტემბერი. ატერზეეს ტბაზე (ავსტრია) გამართულ „ფინის" კლასის აფრიანი ნავებით ევროპის ჩემპიონატზე 3 რბოლის შემდეგ ლიდერობს კიეველი ვ. მანკინი.

◆ კილი, 9 სექტემბერი. „ვარსკვლავის" კლასის იახტებით მსოფლიო ჩემპიონატის მესამე რბოლაში გაიმარჯვა ლ. ნორტმა (აშშ). 3 რბოლის შემდეგ ლიდერობს დანიელი პ. ელვსტრემი.



## ვ. სალუქვაძის მსოფლიო რეკორდი

კიევში, საბჭოთა არმიის სპორტსმენთა ჩემპიონატზე ტყვიის სროლაში ბრწყინვალე შედეგს მიაღწია თბილისის არმიელთა სპორტული კლუბის გუნდის წევრმა, სპორტის ოსტატმა ვ. სალუქვაძემ. მან მცირეკალიბრიანი პისტოლეტით 50 მეტრიდან მრგვალ სამიზნეებზე სროლაში 600 შესაძლებლიდან 570 ქულა მოაგროვა და I ადგილი დაისაკუთრა. ეს მაჩვენებელი 4 ქულით აღემატება ოფიციალურ მსოფლიო რეკორდს და 13 ქულით საერთაშორისო სპორტის ოსტატის ნორმას.

ძალზე საინტერესო იყო მცირეკალიბრიანი შაშხანით ასპარეზობაც. ლ. ლუსტბერგმა (მოსკოვი) ამ იარაღით სტანდარტზე (3×20) სროლაში 580 ქულა მოაგროვა, რაც სსრ კავშირის ახალი რეკორდია. ლუსტბერგი ჩვენი ქვეყნის კიდევ ერთი რეკორდის თანაავტორი გახდა. იგი შედიოდა მოსკოვის სამხედრო ოლქის „კვარტეტში", რომელმაც ამ ვარჯიშში 2282 ქულა მოაგროვა.

მაღალი შედეგებით აღინიშნა მცირეკალიბრიანი შაშხანით სტანდარტზე (3×40) სროლაც. ბელორუსიელმა ვ. პახომოვიჩმა ჩოქელა სროლაში 398 ქულა მოაგროვა და მსოფლიოს რეკორდი გაიმეორა.

სურათზე: ვ. სალუქვაძე.

## პირველად თბილისის ზღვაზე

საწყლოსნო თხილამურები ჩვენს ქვეყანაში, ფაქტიურად, ახლა იკიდებს ფეხს: მას სულ რაღაც 3 წლის ისტორია აქვს. პირველი საკავშირო შეჯიბრება ამ წარმტაც სახეობაში 2 წლის წინათ გაიმართა მოსკოვში. მაშინ სტარტზე მხოლოდ ჩვენი ქვეყნის დედაქალაქის, ლენინგრადისა და ნოვოსიბირსკის სპორტსმენები გამოვიდნენ.

პირველმა ე. წ. სააგიტაციო-საჩვენებელმა გამოსვლებმა ამ სახეობის შემდგომ განვითარებას იმდენად შეუწყო ხელი, რომ მალე წყალზე მოთხილამურეები გამოჩნდნენ უკრაინაში, ბელორუსიაში, საქართველოში და სხვა რესპუბლიკებშიც. შარშან სსრ კავშირის საუწყებო ჩემპიონატიც მოეწყო, რომელშიც სხვებთან ერთად საქართველოს სპორტსმენებმაც მიიღეს მონაწილეობა. ჩვენებმა შემდეგ კიევის ღია პირველობაში სცადეს ძალა და არც თუ უნაყოფოდ: ამიერკავკასიის „ტყეპროექტის" ინჟინერ-მშენებელმა ო. გოცირიძემ და „საქსოფლმშენსახპროექტის" გეოლოგმა შ. ცნობილაძემ უკრაინის დედაქალაქის ჩემპიონობა დაისაკუთრეს. მერე თბილისში ჩატარდა მოსკოვის, დუბნის, ლენინგრადის, უკრაინის, საქართველოსა და სხვა მოთხილამურეთა მატჩი.

შეჯიბრების ნონაწილეთ თბილისის ზღვა „გულღიად", საასპარეზოდ შესანიშნავი პირობებით შეხვდა. სწორედ მაშინ გამოითქვა აზრი, რომ მოკავშირე რესპუბლიკების, მოსკოვისა და ლენინგრადის გუნდების I საკავშირო ჩემპიონატი აქ გამართულიყო.

და აი, დღეს თბილისის ზღვაზე სტარტი მიეცემა მეტად საინტერესო ტურნირს საწყლოსნო-თხილამურებით.

ჩვენმა კორესპონდენტმა საწყლოსნო სათხილამურო სპორტში საქართველოს სპორტკავშირის მთავარ მწვრთნელს ა. არხანგელსკის სთხოვა ეამბნა სპორტის ამ სახეობის პერსპექტივებზე:

— მეტისმეტად ახალგაზრდული ასაკის მიუხედავად, საწყლოსნო თხილამურები ჩვენში 80 ათასამდე მოყვარულს ითვლის. მათგან 2000-ზე მეტი უკვე სპორტის ოსტატი ან თანრიგოსანია. სსრ კავშირის წლევანდელი ჩემპიონატისთვის სამზადისი დიდი ხანია გაჩაღდა: გაიმართა რესპუბლიკებისა და ქალაქების პირველობები, შეირჩა უძლიერესი სპორტსმენები, ჩატარდა ორი საკავშირო შეჯიბრება, რომლებმაც ჩვენი მოთხილამურეების ტექნიკის შესამჩნევი ზრდა დაადასტურეს. წინსვლა იმდენად საგრძნობია, რომ ბევრი სპორტსმენი ფიგურული სრიალის რთულ ელემენტებსაც კი თავისუფლად ასრულებს. მართალია, ამ მხრივ გდრ-ის, აშშ-ის, საფრანგეთის, იტალიისა და დასავლეთის სხვა ქვეყნების წარმომადგენლებს ჯერ კიდევ ჩამოვრჩებით, მაგრამ იქ საწყლოსნო თხილამურები დიდი ხანია ამოუდგა გვერდში სპორტის სხვა მოწინავე სახეობებს. ვფიქრობ, თბილისის საკავშირო ჩემპიონატი სსრ კავშირში საწყლოსნო სლალომისა და ტრამპლინიდან ხტომის განვითარების ახალ გზებს დასახავს, — დაასრულა სიტყვა არხანგელსკიმ.

შეჯიბრება სამ დღეს გასტანს. პირველი ასპარეზობა წყვილი თხილამურით სლალომში გაიმართება. ტურნირის მეორე დღე ცალი თხილამურით სლალომს დაეთმობა, ხოლო მესამე დღეს, 12 სექტემბერს, გათამაშდება პირველობა ტრამპლინიდან ხტომაში. შეჯიბრებაში მონაწილეობას მიიღებენ სსრ კავშირის ჩემპიონები: ლ. ნუჩაევა, ვ. ფილინი (ორივენი — მოსკოვი), ი. ჟუკოვი (ლენინგრადი), გ. ლიტვინოვა (რსფსრ) და სხვ.

საქართველოს ღირსებას დაიცავენ ისინი, ვინც რესპუბლიკურ ჩემპიონატში ისახელა თავი: ა. სანაძე, ო. გოცირიძე, ი. შავიშვილი, ი. ყიასაშვილი, შ. ცნობილაძე, ვ. მეჟოვი და სხვ.

* * *

სურათზე: ი. შავიშვილი ცალი თხილამურით წვრთნის დროს.

ფოტო ო. გელაშვილისა.

## სასარგებლო ტურნე

თბილისის „დინამოს" წყალბურთელებმა 2 კვირა დაჰყვეს უნგრეთის სახალხო რესპუბლიკაში, იქაური სპორტული ორგანიზაციების მიწვევით. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ დინამოელთა მწვრთნელმა, სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ნ. გვახარიამ მოგზაურობის შთაბეჭდილებები გაუზიარა ჩვენი გაზეთის კორესპონდენტს.

— უნგრელი მეგობრების მიწვევას სიამოვნებით დავთანხმდით და ამ სტუმართმოყვარე სახალხო რესპუბლიკაში ორი კვირა დავყავით. დინამოელთა ამ ტურნეს მიზანი საკავშირო პირველობის მეორე წრის I ტურისა და სსრ კავშირის ხალხთა საიუბილეო სპარტაკიადისთვის მზადება იყო. უნდა ვთქვა, რომ მასპინძლებმა იდეალური პირობები შეგვიქმნეს. ნაყოფიერად ვვარჯიშობდით. მოვაწყეთ რამდენიმე ამხანაგური მატჩი ადგილობრივ გუნდებთან. მართალია, ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზებით, გუნდში არ იყვნენ მისი მოწინავე მოთამაშეები ლ. ვოგოლაძე, გ. ჩიქვანაია და ბ. მეგედი, მაგრამ ახალგაზრდა წყალბურთელებმა, რომლებიც მათ მაგიერ მონაწილეობდნენ მატჩებში სასიამოვნო შთაბეჭდილება დატოვეს.

უნგრეთში 7 შეხვედრა ჩავატარეთ, მათგან 5 მოვიგეთ. 1 ფრედ დავამთავრეთ და მხოლოდ ერთხელ დავმარცხდით — სოლნოკის „დოჟასთან" — 2:3. 2 დღით ადრე კი იგივე გუნდს ჩვენ მოვუგეთ. — 4:2. მოვუგეთ ეგერის „დოჟას" — 4:0, ისევ სოლნოკის „დოჟას" — 2:1, კვლავ ეგერის „დოჟას" — 3:2, ბუდაპეშტის „სპარტაკს" — 14:7 და სხვ. დინამოელთაგან კარგი თამაშით თავი გამოიჩინეს მ. გულედანმა, ვ. გიორგაძემ, ვ. ისელიძემ, რ. ოჩიგავამ და, რასაკვირველია, ვეტერანებმა.

გაგვაოცა აუზების სიმრავლემ უნგრეთში. განა მარტო დიდ ქალაქებში, საწყლოსნო სარბიელი თითქმის ყველა დასახლებულ პუნქტშიც კი აქვთ. ისეთ პატარა ქალაქში, როგორიც სოლნოკია (აქ 55 ათასი მცხოვრებია) 4 აუზია. ერთი იმდენად დიდია, რომ მასობრივი შეჯიბრებებიც კი ეწყობა.

თბილისში ჩამოსვლისთანავე წვრთნის გასაგრძელებლად მივაშურეთ ჩვენს ერთადერთ დახურულ აუზს, მაგრამ იგი გამოკეტილი დაგვიხვდა. „განთიადის" აუზი კი არ თბება და იძულებული გავხდით ვარჯიში „დინამოს" აუზში ჩაგვეტარებინა. ეს აუზი კი ძალზე მოუხერხებელია.

იმ სასიამოვნო მოგონებების შემდეგ, რაც უნგრეთში მოგზაურობამ დაგვიტოვა, ცოტა უხერხულიც არის ამაზე ლაპარაკი, მაგრამ საკავშირო ჩემპიონატი კარს მოგვადგა და თბილისის „დინამო" რომ მოუმზადებელი შეხვდეს ამ საპასუხისმგებლო ასპარეზობას, არავინ გვაპატიებს.



ეროვნული ბიბლიოთეკა

## საიუბილეო სპარტაკიადებს — ღირსეული შეხვედრა!

# პირველი შედეგები

წლეულს, აპრილის ბოლოს, გაიმართა ცხაკაიას სპორტკავშირის მორიგი კონფერენცია. დელეგატები გულახდილად ლაპარაკობდნენ იმ ნაკლოვანებებზე, რაც რაიონში მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობის სათანადო გაშლას აფერხებდა. შეკრებილნი განსაკუთრებული შეშფოთებით აღნიშნავდნენ, რომ საიუბილეო სპარტაკიადებისთვის სამზადისში ყველაფერი რიგზე ვერ იყო, რომ რაიონში ცოტაა სპორტული ბაზები, ინვენტარი და ფორმები, რომ ნაკრები გუნდების შექმნა და მათი ინტენსიური წვრთნა ჭიანურდებოდა.

კონფერენციამ აირჩია სპორტკავშირის ახალი ხელმძღვანელობა. პრეზიდიუმის თავმჯდომარეობა სპორტსკოლის ყოფილ დირექტორს შ. ჩიქობავას მიანდეს და დაავალეს, აქტივისტები შემოეკრიბა და აქედანვე ეზრუნა აღნიშნული მდგომარეობის გამოსწორებისთვის.

სპორტკავშირის ახალმა შემადგენლობამ ნდობა გაამართლა — მჭიდრო კონტაქტი დაამყარა VI რაიონული სპარტაკიადის ერთი თვის წინათ შექმნილ საორგანიზაციო კომიტეტთან ერთად შეიმუშავეს მომავალი ასპარეზობის დებულება და ყველა ფიზკულტურულ კოლექტივს გაუგზავნეს. საორგანიზაციო კომიტეტმა სპარტაკიადის მონაწილე კოლექტივები 5 ჯგუფად დაყო (სიძლიერის მიხედვით). I ჯგუფში შევიდნენ ცხაკაიას ყველა, აგრეთვე ნოსირის, ძველი სენაკისა და თეკლათის საშუალო სკოლები. II ჯგუფში სხვა სოფლების საშუალო სკოლები გაერთიანდნენ, III ჯგუფში — საბჭოთა მეურნეობები, IV — კოლმეურნეობები, V — საწარმოები. მე-5 ჯგუფში 3 ქვეჯგუფი შეიქმნა. გადაწყდა ჯგუფებში გამარჯვებულები პარტრაიკომისა და რაიაღმასკომის გარდამავალი დროშებით დაეჯილდოვებინათ.

სპარტაკიადის მონაწილეთა ამგვარმა დაყოფამ განაპირობა, რომ ივლისში დაწყებულ პირველსავე შეჯიბრებებში რაიონის თითქმის ყველა 86 ფიზკულტურული კოლექტივი (მათ შორის 7 ახლად შექმნილიც) ჩაება. ტურნირს მხოლოდ ჭალადიდის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე ლ. მიშველია) და ამავე სოფლის ეთერზეთოვანი კულტურების საბჭოთა მეურნეობამ (დირექტორი მ. ხაბახტარიშვილი) აარიდეს თავი. ეს არცაა გასაკვირი, იმიტომ, რომ ამ ორგანიზაციების ფიზკულტურული კოლექტივების საბჭოები მხოლოდ ფორმალურად არსებობენ, არც გუნდები ჰყავთ აქ და არც რაიმე მუშაობა ტარდება.

საქმის უკეთ ორგანიზებისა და გუნდების იმთავითვე სრულყოფის მიზნით, სპარტაკიადის საორგანიზაციო კომიტეტმა ყველა კოლექტივს მიამაგრა პარტიული და ფიზკულტურული ორგანიზაციების წარმომადგენლები. სხდომებზე მსჯელობდნენ მომავალი ასპარეზობის მონაწილეთა, სპორტული ბაზების, ინვენტარის შესახებ. მაგალითად, მოისმინეს ახალსოფლის კოლმეურნეობის, ქალაქის ავტოსატრანსპორტო კანტორის, ძველი სენაკის მეღორეობის საბჭოთა მეურნეობის, საკონსერვო ქარხნისა და სხვა კოლექტივების სპორტსმენთა მზადების საკითხი.

ცხადია, ყველა ორგანიზაციას როდი შეეძლო გამოეყვანა გუნდები სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებულ ყველა სახეობაში. საორგანიზაციო კომიტეტს მხედველობიდან არც ეს გამორჩენია და სპარტაკიადის დებულებაში მაშინვე განმარტა: ხალხმრავალი ფიზკულტურული ორგანიზაციები სპორტის 9 სახეობაში (კალათბურთი, ფრენბურთი, მაგიდის ჩოგბურთი, ფეხბურთი, ველოსპორტი, ტყვიის სროლა, მძლეოსნობა, ქართული ჭიდაობა, ჭადრაკი) იასპარეზებენო, შედარებით სუსტ კოლექტივებს კი შეღავათი მისცეს — მათთვის ასპარეზობის პროგრამა 7 სახეობით განსაზღვრეს.

ზოგიერთ სახეობაში შეჯიბრება უკვე დამთავრდა. კარგად გამოდიან ცხაკაიას სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის, ხალიჩების კომბინატის, „საქენერგოს“, „საქვაჭრობის“, ძველი სენაკის მეღორეობის საბჭოთა მეურნეობისა და კოლმეურნეობის გუნდები. შეჯიბრება მართლაც მასობრივია. საკმარისია ითქვას, რომ მარტო 25 კილომეტრზე ველორბოლაში 40-მდე კაცი მონაწილეობდა.

სპარტაკიადის საორგანიზაციო კომიტეტის (თავმჯდომარე — პარტიის რაიკომის მდივანი მ. ქვარცხავა) თაოსნობით, შეჯიბრების დაწყებამდე სპორტული ბაზების მშენებლობის ერთთვიური გამოცხადდა. ამ კარგ ღონისძიებას ყველა ორგანიზაცია გამოეხმაურა. ვისაც სპორტული ნაგებობები ჰქონდა, მათს შეკეთებას, წესრიგში მოყვანას შეუდგა. უქონელნი კი — ბაზების მოწყობას დაეშურნენ.

საქმის გაიოლებისთვის ისევ ფიზკულტურის სპეციალისტები დაირაზმნენ. ისინი ენთუზიასტებს ნახაზებითა და რჩევა-დარიგებებით ეხმარებოდნენ, ხშირად თვითონ ხელმძღვანელობდნენ სამუშაოებს. სულ მალე ნოსირის დაფნის საბჭოთა მეურნეობაში (დირექტორი ნ. გაგუა) ფეხბურთის, ფრენბურთის, კალათბურთისა და ხელბურთის მოედნები, სიგრძესა და სიმაღლეზე სახტომი ორმოები მზად იყო. განზრახული აქვთ სარბენი ბილიკების მოწყობა და საცურაო აუზის აგება. ნოსირელებს არც ახალი სენაკისა (დირექტორი ნ. ცხიტავა) და ტეხურის დაფნის საბჭოთა მეურნეობების (დირექტორი სოციალისტური შრომის გმირი დ. შამათავა), ძველი სენაკის კოლმეურნეობის (თავმჯდომარე მ. ბელქანია), გეჯეთის ჩაის საბჭოთა მეურნეობის (დირექტორი ვ. მზარელუა), საკონსერვო ქარხნის (დირექტორი ა. ხორავა) და სხვა ორგანიზაციები ჩამორჩნენ. ერთი სიტყვით, ცხაკაიელებს სპორტული ბაზების მშენებლობის ასეთი ტემპი არ ახსოვთ, და თუ ამ ბაზებსაც ასევე ინტენსიურად გამოიყენებენ, ასეთივე მონდომებით ივარჯიშებენ, ეჭვი არ არის, შედეგებსაც ხასურველს მოიმკიან.

ფიზკულტურისა და სპორტის აღმავლობისთვის პარტიის რაიონული კომიტეტის გადაწყვეტილებებმა კიდევ ერთი კარგი ნაყოფი გამოიღო. ცხაკაიაში აღმავლობის გზაზე დადგა ცხენოსნობა, რომელიც ისტორიას 7 წლის წინათ „ჩაბარდა“ და იპოდრომიც გაპარტახდა. ცხენოსნობის განვითარებისთვის ზრუნვის პირველი ნაყოფი ის იყო, რომ ამას წინათ ცხაკაიაში, მეჩაიეთა ზეიმზე კვლავ იხილეს ისინდი, ცხენბურთი, დოლი, მარულა. ასპარეზობაში 60-მდე ცხენი მონაწილეობდა. დასახულია ღონისძიება წმინდა სისხლის ცხენების შესაძენად, წესრიგში მოჰყავთ იპოდრომი.

რაიონული სპარტაკიადა, რომელშიც 8000-მდე ფიზკულტურელი გამოვა, მიზნად ისახავს ფიზკულტურასა და სპორტში ახალგაზრდობის მიზიდვას, ბაზების ქსელის გაფართოებას. რაც მთავარია, ამ ასპარეზობამ უნდა გამოავლინოს ნაკრები, რომელიც საქართველოს სსრ IV საიუბილეო სპარტაკიადის ზონალურ შეჯიბრებებში მიიღებს მონაწილეობას.

ცხაკაიელები იმედოვნებენ, რომ საქართველოს ზონალურ სპარტაკიადაში წარმატებას მიაღწევენ ვაჟთა და ქალთა კალათბურთში, ქართულ და კლასიკურ ჭიდაობაში, ფრენბურთსა და მძლეოსნობაში. ველოსპორტში, ტანვარჯიშსა და ძალოსნობაში კი უჭირთ.

ძალოსანთა ტურნირი სწორედ ცხაკაიაში ჩატარდება, მასპინძლებს კი გუნდი არა ჰყავთ. მარტო ერთი, სპორტის ოსტატი ა. ჯეჯელავა, რა თქმა უნდა, ამინდს ვერ შექმნის. არც სპორტინვენტარითა და ფორმებით მომარაგების საქმეა კარგად, სავაჭრო ორგანიზაციები თავს ნაკლებად იწუხებენ ამ საკითხის მოგვარებისთვის.

**ო. გელაშვილი,**
(ჩვენი სპეც. კორ.).

* * *

**ს უ რ ა თ ზ ე:** ცხაკაიელ ცხენოსანთა დოლი 3 კილომეტრზე.

ფოტო ავტორისა.



## ა. კრავჩენკო — პირველი

მოსკოვში დამთავრდა „სპარტაკის“ ცენტრალური საბჭოს პირადგუნდური ჩემპიონატი თანამედროვე ხუთჭიდში. ასპარეზობაში მონაწილეობდნენ მოკავშირე რესპუბლიკების, აგრეთვე, მოსკოვისა და ლენინგრადის კოლექტივები. ხუთდღიან ტურნირში შესანიშნავად იასპარეზეს საქართველოს სპორტსმენებმა ვ. ქერაშვილმა, ი. ჯარამენილმა, ა. სალუქვაძემ და ა. კრავჩენკომ. ამ „კვარტეტმა“ გუნდურ ჩათვლაში II ადგილი დაისაკუთრა. სამაგიეროდ, პირად პირველობაში ყველას აჯობა ა. კრავჩენკომ. იგი ცენტრალური საბჭოს ჩემპიონი გახდა.

## შესაძლოა მეხიკოს ოლიმპიადის მონაწილენიც...

გუშინ თბილისში, ვ. ი. ლენინის სახელობის სპორტულ დარბაზში, დაიწყო სსრ კავშირის ახალგაზრდა ათლეტთა პირადი პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში. ჩვენი კორესპონდენტი ესაუბრა სსრ კავშირის ჭიდაობის ფედერაციის პასუხისმგებელ მდივანს ნ. სირჩინს და სთხოვა მოკლედ მოეთხრო მიმდინარე შეჯიბრებაზე.

— ახალგაზრდა მოჭიდავეთა საკავშირო შეჯიბრება დიდი ხანია ტრადიციად იქცა და ამიტომ გასაკვირი არცაა, რომ სპორტის ამ სახეობის პოპულარობა წლიდან-წლობით იზრდება. მრავალმა ახალგაზრდა ათლეტმა საქვეყნოდ გაითქვა სახელი. მიმდინარე ტურნირში 19-21 წლის სპორტსმენები მონაწილეობენ. ასეთი შეჯიბრებები წინათაც იმართებოდა, ოღონდ — ოთხ წონით კატეგორიაში. თბილისში კი ამჯერად საჭიდაო ხალიჩაზე ყველა წონითი კატეგორიის მოჭიდავეები გამოვლენ.

ასპარეზობაში მონაწილეობს მოკავშირე რესპუბლიკების, მოსკოვისა და ლენინგრადის 150-მდე სპორტსმენი. მაყურებლები იხილავენ სსრ კავშირის ექს-ჩემპიონებს ჭაბუკთა შორის, რომლებიც ახლა სპორტის ოსტატები არიან და წარმატებით გამოდიან დიდ სარბიელზე: მაგალითად, კიშინიოველ ზილბერმანს, მოსკოველ კაზახოვს, ქართველებს — ყვარელაშვილს, თბილელს, პაპაშვილს, მოსეშვილს, გოცირიძეს და ბევრ სხვას.

ვფიქრობ, ეს პირველობა მრავალ ნიჭიერ სპორტსმენს გამოავლენს. შესაძლოა მათ შორის იყვნენ მეხიკოს მომავალი XIX ოლიმპიური თამაშების მონაწილენიც.

# ახალგაზრდებისა და ჩემპიონებისთვის

წლეულს, აგვისტოში, სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღეს დადგენილება „ფიზიკური კულტურისა და სპორტის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“. ამ დადგენილებით დიდი ყურადღება უნდა მიექცეს სპორტული და ტურისტული ინვენტარის — ტანსაცმლის, ფეხსაცმლის წარმოების გაფართოებასა და ხარისხის გაუმჯობესებას.

ასს-ის კორესპონდენტმა ი. არუთიუნიანმა „ფიზკულტსპორტსნაბის“ უფროსს გ. როგულსკის სთხოვა ეამბნა ამ ორგანიზაციის მუშაობისა და მომავალი გეგმების შესახებ.

— ამ ბოლო ხანებში, — თქვა გ. როგულსკიმ, — საბჭოთა სპორტული ინვენტარის ხარისხი საგრძნობლად ამაღლდა. ჩვენი ნაკრები გუნდები სულ უფრო ხშირად სარგებლობენ სამამულო ნაწარმით. ცნობილი საზღვარგარეთული ფირმების პროდუქციას კი თანდათან ნაკლები მომხმარებელი ჰყავს.

ასე მაგალითად, მოსკოვის სპორტული ტანსაცმლის მოდელების სახლმა უკვე დაამუშავა სპორტული კოსტუმების 700 ნიმუში. საუკეთესო მხატვარმა მემოდელეებმა, ცნობილმა სპორტსმენებმა გულდასმით შეარჩიეს აქედან 300 საუკეთესო მოდელი და რეკომენდაცია მისცეს მასობრივი გამოშვებისთვის. ნაწარმის ხარისხი შესამჩნევად გააუმჯობესეს მოსკოვის სპორტული ფეხსაცმლისა და საქონლის ექსპერიმენტულმა ფაბრიკებმა. ამას ადასტურებს თუნდაც ის გარემოება, რომ ამ ფაბრიკების ნაწარმს სულ უფრო და უფრო მეტი მომხმარებელი ჰყავს არა მარტო საბჭოთა სპორტსმენებს შორის, არამედ საზღვარგარეთაც. ახლახან კანადელებმა შეგვიკვეთეს 10.000 ცალი ჰოკეის ჩოგანი. იყო დრო, რომ საბჭოთა ჰოკეისტების „იარაღი“ ვერ უძლებდა „ბრძოლის ველზე გამოცდას“ და ასპარეზობისას ასანთის ღერებივით იმსხვრეოდა. ეს იმავე კანადელებთან შეხვედრისასაც მომხდარა. დღეს კი ჰოკეის ცნობილი ოსტატები უმაღლეს შეფასებას აძლევენ ჩვენს გამოშვებულ ჩოგნებს. ინგლისელებს ძალიან მოსწონთ საბჭოთა წარმოების ტყავის ბურთები. ვფიქრობ, ესეც საყურადღებოა.

ამჟამად, ჩვენ ბევრ უცხოურ ფირმასთან გვაქვს საქმიანი ურთიერთობა. „შლეზინგერი“ და „დანლოპი“ (ინგლისი), ადიდასი (გფრ), აბც და „სუნდი“ (შვეცია), „იარბინენი“ (ფინეთი), „მეძუნო“ (იაპონია), გდრ-ის, პოლონეთისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების ფირმები ჩვენი მუდმივი მომხმარებლები არიან.

საბჭოთა წარმოების შტანგები, ციგურები, სხვადასხვა გამომთვლელი ხელსაწყოები მსაჯებისთვის — ელექტროსაათები, უზუსტეს დროს რომ უჩვენებენ ჰოკეისა და კალათბურთის მატჩებში, ელექტროსასიგნალო მოწყობილობა მოჭიდავეთა შეჯიბრების მსაჯებისთვის, მოფარიკავეებისთვის და სხვა, საერთო ყურადღებას იპყრობენ.

ჩვენთან გამოდის პლასტმასის, პოლიეთილენისა და სხვა მასალის სპორტული ინვენტარი. უკვე შემოწმდა სპორტული ფეხსაცმლის ახალი ნიმუში. თბილისის სპორტინვენტარის ფაბრიკა უშვებს ახალ ქსოვილს სპორტული ტანსაცმლისა და იალქნებისთვის... ლენინგრადის ქარხანა „სპორტმა“ დაამუშავა და წარმოებაში დანერგა ბადმინტონის მსუბუქი, მოხდენილი ჩოგანი ბავშვებისთვის.

ახალი პროდუქციის ნიმუშები მალე გამოჩნდება დახლზე. მართალია, ჯერჯერობით ჩვენ არა გვაქვს საშუალება მასობრივად დავნერგოთ ამ ნიმუშების წარმოება. სპორტინვენტარის ფაბრიკები ხშირად უჩიოდნენ ნედლეულის დაბალ ხარისხს და სათანადო პრეტენზიებითაც მიმართავდნენ მსუბუქი, ხის დამმუშავებელი და ნავთობგადამმუშავებელი მრეწველობის სამინისტროებს. ეჭვი არ არის, რომ ახლა მდგომარეობა შეიცვალა. სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება ავალებს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტსა და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, დასახონ ღონისძიებები სპორტული პროდუქციის წარმოების გაფართოებისა და ხარისხის გაუმჯობესებისთვის.

უახლოეს წლებში სსრ კავშირში აიგება სპორტინვენტარის რამდენიმე მსხვილი ფაბრიკა. მოსკოვში, მაგალითად, მალე მწყობრში ჩადგება სპორტინვენტარის კომბინატი, რომლის ფართობიც 20 ათასი კვადრატული მეტრი იქნება.

დღესდღეობით კი მდგომარეობა ასეთია: ბოლო 25 წლის მანძილზე სპორტში მომეცადინეთა რიცხვი 9-ჯერ გაიზარდა, სპორტინვენტარის წარმოება კი მხოლოდ 6-ჯერ.

ეჭვი არ არის, — დაამთავრა საუბარი როგულსკიმ, — ამ ამბავში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა თვით ვაჭრობის აშკარად მოძველებულმა სისტემამ. აუცილებელია სპორტინვენტარის ვაჭრობის ცენტრალიზება. ამით დიდად მოიგებს მყიდველიც, საწარმოც და, რა თქმა უნდა, სავაჭრო ორგანიზაციაც.

## „ლელოს“ გამოუქვეყნებელი წერილების კვალდაკვალ

ამას წინათ რედაქციამ მიიღო ამიერკავკასიის რკინიგზის სამტრედიის ტექნიკური სკოლის კურსანტების წერილი. ახალგაზრდები გულისწყრომას გამოთქვამდნენ იმის გამო, რომ მათ მიერ მოწყობილ სპორტულ მოედანზე ამიერკავკასიის რკინიგზის სამტრედიის განყოფილებამ სალოკომოტივო და სამატარებლო გუნდებისთვის დასასვენებელი სახლის მშენებლობა დაიწყო.

ამიერკავკასიის რკინიგზის სამტრედიის განყოფილების უფროსი ამხ. ვარდოსანიძე გვატყობინებს: სამტრედიის ტექნიკური სკოლის ეზოში მართლაც შენდება დასასვენებელი სახლი, მაგრამ შენობის ფართობი დაიკავებს ეზოს პატარა ნაწილს. ამასთან, გათვალისწინებულია შენობის ირგვლივ დეკორაციული ნარგავების გაშენება, შადრევნებისა და ლამაზად გაფორმებული ბილიკების მოწყობა, რაც ეზოს კულტურული დასვენების კერად გადააქცევს.

სპორტული მოედნის შესახებ ამხ. ვარდოსანიძე გვწერს, რომ იგი არათუ არ გაუქმდება, პირიქით, ძველი ინვენტარი ახლით შეიცვლება. ჩატარდება, აგრეთვე, გარკვეული მუშაობა ბაზის კეთილმოწყობისთვის, რაც ხელს შეუწყობს ფიზკულტურული მუშაობის შემდგომ გაუმჯობესებას.

# ტრადიცია დაირღვა

ბაქო. ცენტრალური სტადიონი, 8 სექტემბერი.
„ნეფტიანიკი" (ბაქო) — „დინამო" (თბილისი) 3:2 (1:0).
„ნეფტიანიკი": კრამარენკო, ბოგდანოვი, ბრუხტი, ი. ბაბაევი, გრიაზევი, სემიგლაზოვი, ტუაევი, გაჭიევი, ბანიშევსკი, მარქაროვი, ზეინალოვი (სალახოვი).
„დინამო": კოტრიკაძე, ჰელიძე, რეხვიაშვილი, ხურცილავა, ცხოვრებოვი, ხართიშვილი, ილიადი (მაისურაძე), დათუნაშვილი, იამანიძე, მეტრეველი, მესხი.
მსაჯი ი. ლუკიანოვი (მოსკოვი).
დუბლიორები — 2:1 თბილისელთა სასარგებლოდ.

წინასწარ ვიტყვი: მატჩის შედეგი მთლიანად „დინამოს" მცველთა სინდისზეა. სტუმართა დაცვა ამ დღეს ისე იყო მოშლილი, რომ „ნეფტიანიკის" თავდამსხმელები თავისუფლად დანავარდობდნენ საჯარიმო მოედანზე. და თუ მასპინძლებმა მეტოქის კარში მხოლოდ 3 გოლი გაიტანეს, ამაში ბრალი, პირველყოვლისა, ბაქოელთა თავდამსხმელებს მიუძღვით. თავად განსაჯეთ: ტუაევი, მარქაროვი და ბანიშევსკი სულ ცოტა ორ–ორჯერ აღმოჩნდნენ თბილისელთა მეკარის პირისპირ, მაგრამ ვერც ერთი მომენტი ვერ გამოიყენეს. ჩემი აზრით, გატანილ გოლებში კოტრიკაძე ნაკლებადაა დამნაშავე, ვინაიდან დაცვა მეტისმეტად უპასუხისმგებლოდ და უხეიროდ მოქმედებდა.

„ნეფტიანიკმა" ოფიციალურ მატჩებში პირველად დაამარცხა თბილისის „დ[illegible]მო". ამ წარმატებაში დიდი წვლილი მიუძღვის ბანიშევსკის, რომელიც მეტწილად იმარჯვებდა ხურცილავასთან ორთაბრძოლაში. სწორედ ასე გაიტანა ბაქოელმა ცენტრალურმა თავდამსხმელმა პირველი გოლი მატჩის პირველსავე წუთზე.

დინამოელთა ორივე გოლი სილამაზის მხრივ „ხუთიანებს" იმსახურებს, მაგრამ ორივე შემთხვევაში ბურთი გუნდის კოლექტიური მეცადინეობის მეოხებით კი არ გავიდა, არამედ, მესხისა (55-ე წუთზე) და დათუნაშვილის (85-ე წუთზე) მაღალი ინდივიდუალური ოსტატობის შედეგად.

61-ე წუთზე ბანიშევსკიმ კვლავ დააწინაურა თავისი გუნდი — 2:1. მაგრამ „ნეფტიანიკის" გამარჯვებაში ჩვენ მაინც ეჭვი გვეპარებოდა. საქმე ისაა, რომ თბილისელთა ეპიზოდური კონტრშეტევები მუდამ საშიში და მწვავე იყო. და მხოლოდ მარქაროვის გოლმა დაგვარწმუნა, რომ ბაქოელმა ფეხბურთელებმა ბოლოსდაბოლოს „უღალატეს" ტრადიციას და პირველ გამარჯვებას მიაღწიეს თბილისის დინამოელებთან შეხვედრებში.

როცა ანგარიში 3:2 გახდა, მასპინძლები კვლავ კრიტიკულ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ, მაგრამ აქ მათ მიმართეს დროის გაყვანის ხერხს, რომელმაც უდავოდ გააფუჭა საერთო შთაბეჭდილება. თბილისელები, ფაქტიურად, „ცაიტნოტში" იყვნენ და დროც სულ მალე ამოიწურა.

მ. ბაბაევი.
(ტელეფონით, ჩვენი კორ.).

## „ა" კლასი I ჯგუფი

გათამაშების ცხრილი
ძირითადი შემადგენლობანი
მდგომარეობა 10 სექტემბრისათვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინამო" (კიევი) | 24 | 17 | 6 | 1 | 51—11 | 40 |
| „ტორპედო" (მოსკოვი) | 25 | 12 | 7 | 6 | 40—25 | 31 |
| ცსკა | 22 | 12 | 6 | 4 | 50—30 | 30 |
| „სპარტაკი" (მოსკოვი) | 23 | 11 | 7 | 5 | 33—27 | 29 |
| ასკ (როსტოვი) | 24 | 14 | 1 | 9 | 39—36 | 29 |
| „პახტაკორი" (ტაშკენტი) | 22 | 8 | 11 | 3 | 23—15 | 27 |
| „ნეფტიანიკი" (ბაქო) | 24 | 9 | 7 | 8 | 31—21 | 25 |
| „დინამო" (მოსკოვი) | 23 | 9 | 6 | 8 | 33—25 | 24 |
| „კაირატი" (ალმა-ათა) | 21 | 9 | 5 | 7 | 21—21 | 23 |
| „ზენიტი" (ლენინგრადი) | 24 | 9 | 5 | 10 | 30—38 | 23 |
| „დინამო" (თბილისი) | 23 | 7 | 8 | 8 | 26—25 | 22 |
| „დინამო" (მინსკი) | 23 | 7 | 8 | 8 | 23—26 | 22 |
| „არარატი" (ერევანი) | 25 | 6 | 8 | 11 | 18—36 | 20 |
| „შახტიორი" (დონეცკი) | 22 | 8 | 3 | 11 | 22—29 | 19 |
| „ჩერნომორეცი" (ოდესა) | 24 | 5 | 9 | 10 | 20—29 | 19 |
| „ტორპედო" (ქუთაისი) | 23 | 7 | 4 | 12 | 31—42 | 18 |
| „კრ. სოვეტოვი" (კუიბიშევი) | 22 | 3 | 10 | 9 | 15—29 | 16 |
| „ლოკომოტივი" (მოსკოვი) | 23 | 5 | 4 | 14 | 17—33 | 14 |
| ასკ (ოდესა) | 23 | 1 | 7 | 15 | 11—36 | 9 |




## ქალაქები, გოლები, ქულები

8 სექტემბერს ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქში გაიმართა მორიგი ტურის მატჩები.

„დინამო" (კიევი) — „შახტიორი" 4:3 (3:1). ბურთები გაიტანეს: პირველ ტაიმში — ხმელნიცკიმ, ბიბამ, ბიშევეცმა (ყველანი „დინამო"), ანანჩენკომ („შახტიორი"), მეორე ტაიმში — საბომ („დინამო"), მიზერნიმ და ანანჩენკომ (ორივენი — „შახტიორი").

„დინამო" (მინსკი) — „პახტაკორი" 1:0 (0:0). ერთადერთი ბურთი შესვენების შემდეგ გაიტანა დინამოელმა მუსტიგინმა. აღსანიშნავია, რომ მან ვერ გამოიყენა 11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმა.

„ლოკომოტივი" — „დინამო" (მოსკოვი) 1:1 (1:0). ბურთები გაიტანეს: პირველ ტაიმში — გერშკოვიჩმა („ლოკომოტივი"), მეორე ტაიმში — ევრიუჟიხინმა („დინამო"). ამ მატჩშიც გაფუჭდა 11-მეტრიანი საჯარიმო: დინამოელმა გუსაროვმა მე-7 წუთზე ბურთი კარის ზედა ძელს გადააცილა.

ასკ (როსტოვი) — „ზენიტი" 3:0 (3:0). გოლების ავტორები არიან: კოპაევი, ესკოვი და ბუროვი.

„ჩერნომორეცი" — „კაირატი" 0:0.

„არარატი" — ასკ (ოდესა) 0:0.

გუშინ გაიმართა კიდევ ერთი მატჩი: მოსკოვში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი გუნდები ცსკა და „ტორპედო". გაიმარჯვეს ტორპედოელებმა — 2:1. ბურთები გაიტანეს კაზაკოვმა (ცსკა), დენისოვმა და სტრელცოვმა.

## სსრ კავშირის პირველობა

### 1:0

სტავროპოლი (დეპეშით). აქ გაიმართა „ა" კლასის II ჯგუფის I ქვეჯგუფის ფეხბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის მორიგი კალენდარული შეხვედრა ადგილობრივ და ბათუმის დინამოელთა შორის. მატჩმა მაყურებელთა დიდი ინტერესი გამოიწვია. ეს ასეც უნდა ყოფილიყო, რადგან სტავროპოლისა და ბათუმის გუნდებზ სატურნირო ცხრილში მეზობლები არიან. აღნიშნული შეხვედრისთვის მასპინძლებს 24 თამაშიდან 23 ქულა ჰქონდათ. ბათუმელები მეტოქეებს 1 ქულით ჩამორჩებოდნენ, მაგრამ მათ შეხვედრებიც ნაკლები ჩაატარეს. ერთადერთმა გოლმა, რომელიც ჩვენმა ფეხბურთელებმა მატჩის II ნახევარში გაიტანეს, მათ საპატიო გამარჯვება მოუტანა.

* * *

შედგა მორიგი ტურის მატჩები სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში „ა" კლასის II ჯგუფის I ქვეჯგუფის გუნდებს შორის:
„სპარტაკი" (ნალჩიკი) — „თერგი" (გროზნო) 1:0
„სპარტაკი" (გომელი) — „დინამო" (კიროვაბადი) 0:0
„ტექსტილშჩიკი" (ივანოვო) — „შირაკი" (ლენინაკანი) 5:1
„დაუგავა" (რიგა) — „დინამო" (ტალინი) 0:0
„რუბინი" (ყაზანი) — „ტრაქტორი" (ვოლგოგრადი) 0:0
„ყუბანი" (კრასნოდარი) — „ჟალგირისი" (ვილნიუსი) 2:0
„როსტსელმაში" (როსტოვი) — „ბალტიკა" (კალინინგრადი) 3:1

## „ა" კლასი II ჯგუფი

გათამაშების ცხრილი
მდგომარეობა 10 სექტემბრისათვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ჟალგირისი" (ვილნიუსი) | 25 | 14 | 5 | 6 | 39—22 | 33 |
| „ყუბანი" (კრასნოდარი) | 24 | 11 | 9 | 4 | 28—12 | 31 |
| „ტექსტილშჩიკი" (ივანოვო) | 24 | 9 | 12 | 3 | 33—19 | 30 |
| „დინამო" (კიროვაბადი) | 25 | 8 | 13 | 4 | 21—12 | 29 |
| „რუბინი" (ყაზანი) | 24 | 10 | 8 | 6 | 23—18 | 28 |
| „დაუგავა" (რიგა) | 24 | 9 | 7 | 8 | 35—25 | 25 |
| „თერგი" (გროზნო) | 25 | 8 | 9 | 8 | 20—24 | 25 |
| „დინამო" (ბათუმი) | 24 | 9 | 6 | 9 | 29—29 | 24 |
| „ტრაქტორი" (ვოლგოგრადი) | 24 | 9 | 6 | 9 | 27—27 | 24 |
| „ლოკომოტივი" (თბილისი) | 24 | 7 | 10 | 7 | 28—30 | 24 |
| „სპარტაკი" (ნალჩიკი) | 25 | 8 | 8 | 9 | 19—25 | 24 |
| „დინამო" (სტავროპოლი) | 25 | 8 | 7 | 10 | 20—23 | 23 |
| „როსტსელმაში" (როსტოვი) | 25 | 6 | 10 | 9 | 25—31 | 22 |
| „ბალტიკა" (კალინინგრადი) | 25 | 6 | 9 | 10 | 18—27 | 21 |
| „სპარტაკი" (გომელი) | 24 | 5 | 10 | 9 | 11—22 | 20 |
| „შირაკი" (ლენინაკანი) | 25 | 6 | 7 | 12 | 22—37 | 19 |
| „დინამო" (ტალინი) | 24 | 4 | 6 | 14 | 16—31 | 14 |

# მომავლის გეგმები

პრაღაში გაიმართა ფრენბურთის საერთაშორისო ფედერაციის კონგრესი, რომელმაც გადაწყვიტა, რომ ფრენბურთელ ვაჟთა 1969 წლის ჩემპიონატზე დაუშვან მხოლოდ 12 გუნდი (მიმდინარე ჩემპიონატში მონაწილეობს 22 კოლექტივი). ცნობილი გახდა ისიც, თუ ვის მიეცემა მომავალ მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობის უფლება. ესენი იქნებიან: სსრ კავშირის ფრენბურთელები, 1966 წლის მსოფლიო ჩემპიონატში გამარჯვებული, 1968 წლის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი, 1972 წლის ოლიმპიური თამაშების მასპინძლები და მსოფლიო ჩემპიონატის ორგანიზატორი ქვეყნის გუნდი. ამას გარდა, მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობის 2-2 საგზური მიეცემათ ევროპას, აზიას, ამერიკას და ერთი საგზურიც — აფრიკას.

საერთაშორისო ფედერაციის ევროპის კომისიამ გადაწყვიტა, რომ ამ კონტინენტის მომავალი პირველობა ვაჟთა შორის გამართოს თურქეთში 1967 წლის 26 აგვისტოდან 8 სექტემბრამდე. გაისად ჩატარდება აგრეთვე იუნიორთა ევროპის პირველობა (საფრანგეთში).

## ფრენბურთი

### ოთხი ტურის შემდეგ

გთავაზობთ ფრენბურთელ ვაჟთა გუნდების ჩემპიონატის IV ტურის ორი მატჩის შედეგებს: სსრ კავშირის ნაკრებმა კიდევ ერთი დამარცხების სიმწარე იგემა. ამჯერად მათი მძლეველები იაპონელები აღმოჩნდნენ — 3:2 (15:12, 12:15, 4:15, 15:7, 15:8). ეს უკვე საბჭოთა სპორტსმენთა მესამე მარცხია ამ ჩემპიონატში (1 ქვეჯგუფში და 2 ფინალში). ჩანს, ჩვენი ფრენბურთელები მსოფლიო ჩემპიონატის ტიტულს ამჯერად სხვა ქვეყნის სპორტსმენებს გადაულოცავენ. წლევანდელი ჩემპიონატის დაუმარცხებელმა ლიდერებმა — ჩახოსლოვაკიელებმა ფინალის IV ტურში გაიმარჯვეს ბულგარელებთან — 3:0 (15:11, 15:13, 18:16) და ერთპიროვნულად ჩაუდგნენ სათავეში გათამაშების ცხრილს. აი, როგორ გამოიყურება ეს ცხრილი 4 ტურის შემდეგ:

| | თ. | მ. | წ. | ქ. |
|---|---|---|---|---|
| ჩეხოსლოვაკია | 4 | 4 | 0 | 8 |
| იაპონია | 4 | 3 | 1 | 7 |
| სსრ კავშირი | 4 | 2 | 2 | 6 |
| გდრ | 4 | 2 | 2 | 6 |
| რუმინეთი | 4 | 2 | 2 | 6 |
| პოლონეთი | 4 | 2 | 2 | 6 |
| ბულგარეთი | 4 | 1 | 3 | 5 |
| იუგოსლავია | 4 | 0 | 4 | 4 |

სურათზე: სსრ კავშირისა და იუგოსლავიის ფრენბურთელთა შეხვედრის მომენტი. ამ მატჩში გაიმარჯვეს საბჭოთა სპორტსმენებმა — 3:1.

ტელეფოტო ჩტკ-საკდესისა.



# ახალი ამბები

● ბლედი, 8 სექტემბერი. მსოფლიოს ჩემპიონატი აკადემიურ ნიჩბოსნობაში რეკორდით დაიწყო — ტურნირში ჩაება 31 ქვეყნის 508 ნიჩბოსანი, რომლებმაც იუგოსლავიის ამ საკურორტო ქალაქში 131 ნავი მოიტანეს. ასპარეზობა მესაჭიანმა ოთხადგილიანებმა გახსნეს. ყველა გაცურვა სოციალისტური ქვეყნების წარმომადგენლებმა (სსრ კავშირი, გდრ, იუგოსლავია, უნგრეთი) მოიგეს. საბჭოთა კავშირის სპორტსმენებმა („სპარტაკის" ოთხეული) აჩვენეს 6.42,41. უმესაჭო ორადგილიანი გასაშლელის ეკიპაჟმა — ა. ფედოროვმა და ი. სუსლინმაც ყველა მეტოქე დაამარცხეს. გაცურვები მოიგო ევროპის ჩემპიონმა, „ჟალგირისის" უმესაჭოთა „კვარტეტმა" და ლენინგრადის „ბურევესტნიკისა" და სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცენტრალური სპორტკლუბის ნიჩბოსნებით დაკომპლექტებულმა „ოქტეტმა", რომლებმაც შემდგომი ბრძოლის უფლება მოიპოვეს. დიდი ინტერესი გამოიწვია ერთადგილიანებით წინასწარმა ტურნირმა. ევროპის ორგზის ჩემპიონის ვ. ივანოვის ძირითადი მეტოქე ამერიკელი დ. სპერო იყო. ისე, როგორც ტოკიოს ოლიმპიადაზე, ივანოვმა მასთან ახლაც წააგო, მაგრამ ფინალში ორივენი გავიდნენ (როგორც ცნობილია, ტოკიოში ივანოვმა „ოქრო" მოიპოვა.

● კლადნო, 8 სექტემბერი. ჩეხოსლოვაკიაში საერთაშორისო ამხანაგურ მატჩებს ატარებს მოსკოვის „დინამოს" ჰოკეისტთა კოლექტივი. საბჭოთა სპორტსმენები შეხვდნენ ადგილობრივ საკლუბო გუნდს და დამარცხდნენ — 3:4.

● კარლ-მარქს-შტადტი, 8 სექტემბერი. გდრ-ის ჰოკეისტები პირველ საერთაშორისო მატჩში შეხვდნენ შვეციის ნაკრებს. გაიმარჯვეს სტუმრებმა — 5:1.

● ლუგანსკი, 8 სექტემბერი. აქ დამთავრდა სსრ კავშირის ვაჟთა XIII და ქალთა IV ჩემპიონატები სათვითმფრინავო სპორტში. ჩვენი ქვეყნის აბსოლუტური ჩემპიონი ვაჟთა შორის გახდა ვ. პისკუნოვი, ვერცხლი დაისაკუთრა ბ. სოლოვიოვმა, ბრინჯაო — ა. პიმენოვმა. ქალებში პირველი იყო ტ. პერესეკინა, რომელმაც ყველა ვარჯიში მოიგო. მომდევნო ადგილებზე არიან ე. ტურკინა და ლ. ვასილიევა.

● ბონი, 8 სექტემბერი. უტრეხტში მოცურავეთა ევროპის ჩემპიონატში გამარჯვების შემდეგ მოსკოველმა ათლეტებმა პირველი საერთაშორისო მატჩი გამართეს ამ ქალაქის 25-მეტრიან აუზში, სადაც პირველი ადგილების უმეტესობა დაისაკუთრეს. ევროპის ჩემპიონმა ვ. კუზმინმა ბატერფლაის სტილით ცურვაში კონტინენტის 2 ახალი რეკორდი დაამყარა: 100 მეტრზე — 58,4, ხოლო 200 მეტრზე — 2.08,9 აჩვენა.

● კიოლნი, 8 სექტემბერი. აქ გამართულ მძლეოსანთა საერთაშორისო შეჯიბრებაში, რომელშიც ბუდაპეშტის ევროპის ჩემპიონატის „ვარსკვლავები" და ოკეანესგადაღმელი სტუმრები მონაწილეობდნენ, ევროპის 2 რეკორდი გაუმჯობესდა. ბუდაპეშტის ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორმა ჰ. ნორპოტმა (გფრ) 5.000 მეტრზე რბენაში 13.24,8 აჩვენა, რაც ფრანგ მ. ჟაზის შარშანდელ მიღწევას 2,8 წამით აღემატება. აქვე ი. კემპერმა (გფრ) ევროპის ახალი რეკორდი დაამყარა 880 იარდზე რბენაში — 1.47,3. სიგრძეზე ხტომაში რ. ბოსტონისა (აშშ) და ევროპის ჩემპიონ ლ. დევისის ორთაბრძოლა ამერიკელმა მოიგო — 808 სმ. ინგლისელის შედეგია 781 სმ.

● ბუდაპეშტი, 8 სექტემბერი. ეს-ესაა დამთავრდა ევროპის პირველობა მძლეოსნობაში და სპორტულმა სტატისტიკოსებმა უკვე გამოაქვეყნეს საინტერესო ცნობები. შეჯიბრების დღეებში ასპარეზობას დაესწრო 200 ათასი მაყურებელი. 400 მილიონამდე კაცმა კი ცისფერ ეკრანებზე ნახა იგი. შეჯიბრების ბოლო ორ დღეს 28 ქვეყანაში რადიო და 26 ქვეყანაში ტელერეპორტაჟი მოეწყო.

● პარიზი, 9 სექტემბერი. საფრანგეთის პატარა ქალაქ ალესში მიიწურა პრეტენდენტთა ტურნირი ასუჯრიან შაშში. 14 ტურის შემდეგ წინაა სსრ კავშირის ჩემპიონი, დიდოსტატი ა. ანდრეიკო (11,5). ლიდერს 0,5 ქულით ჩამორჩება მსოფლიოს ექს-ჩემპიონი, საბჭოთა დიდოსტატი ვ. შჩოგოლევი. გასათამაშებელი დარჩა 2 ტური.

# 15 ნოემბერს — ვოლგოგრადში

ამჟამად მსოფლიოში მოჭადრაკე ქალთა რამდენიმე შესარჩევი ტურნირი მიმდინარეობს. ვინ იქნებიან მსოფლიო ჩემპიონის სახელის პრეტენდენტთა 1967 წლის ტურნირის მონაწილენი? დღეისთვის ამ ტურნირის მხოლოდ 6 მოჭადრაკეა ცნობილი. ესენი არიან: პრეტენდენტთა 1964 წლის ტურნირის პრიზიორები ა. კუშნირი, ტ. ზატულოვსკაია (ორივენი — სსრ კავშირი), მ. ლაზარევიჩი (იუგოსლავია) და ამას წინათ ხოფიის ზონალურ ტურნირში გამარჯვებულნი — ა. ნოვარი (გდრ), ა. ნიკოლაუ (რუმინეთი) და ვ. ასენოვა (ბულგარეთი). ერთ-ერთი ზონალური ტურნირი იქნება სსრ კავშირის ქალთა წლევანდელი, XXVI ჩემპიონატი, რომელიც 15 ნოემბერს დაიწყება ვოლგოგრადში.

ამ ტურნირის მონაწილეთა გამოსავლინებლად სსრ კავშირის ჭადრაკის ფედერაციამ გამართა 4 ნახევარფინალი, რომელშიც 70-მდე მოჭადრაკე ჩაება. თვითეული ტურნირიდან მხოლოდ 3 პრიზიორს ეძლეოდა ფინალში გასვლის უფლება. აი, ეს პრიზიორებიც: ე. კაკაბაძე (თბილისი), ლ. ვოლპერტი (ლენინგრადი), ა. მუსლიმოვა (ალმა-ათა) — ნოვოსიბირსკის ნახევარფინალიდან, ნ. ალექსანდრია, თ. გოლოვეი (მინსკი), ნ. ვოიცეკი (მოსკოვი) — კიევის ნახევარფინალიდან. თ. ბოიახჩანი (ერევანი), ე. რუბცოვა (მოსკოვი), ნ. მედიანიკოვა (ლენინგრადი) — სევასტოპოლის ნახევარფინალიდან და კ. სკეგინა (მოსკოვის ოლქი), გ. არჩაკოვა (მინსკი), ვ. ტიხომიროვა (მოსკოვის ოლქი) — პეტროზავოდსკის ნახევარფინალიდან.

ფედერაციამ ფინალში პერსონალურად მიიწვია მსოფლიო ჩემპიონი ნ. გაფრინდაშვილი, ა. კუშნირი, ტ. ზატულოვსკაია, სსრ კავშირის ჩემპიონი ვ. კოზლოვსკაია, მ. რანიკუ, ე. ბიკოვა და ლკოველი პირველთანრიგოსანი თ. მოროზოვა. ადვილი შესაძლებელია, რომ ნ. გაფრინდაშვილმა, ა. კუშნირმა და ტ. ზატულოვსკაიამ არ მიიღონ მონაწილეობა ჩემპიონატში, რათა ხელი არ შეუშალონ პრეტენდენტობის მაძიებელთ. ალბათ, მათ მაგიერ ფედერაცია სათამაშოდ დაუშვებს ნახევარფინალებში მონაწილე სხვა სამ მოჭადრაკეს.

შესარჩევ ტურნირებში მონაწილეობდა 6 თბილისელი მოჭადრაკე: ნ. ალექსანდრია, ე. კაკაბაძე, ა. ჩაიკოვსკაია, ც. კახაბრიშვილი, ც. კობაიძე და ნ. ჩიქობავა. ის რომ, ოსტატები ნ. ალექსანდრია და ე. კაკაბაძე ფინალში გავიდნენ, არავის გაკვირვებია. ცნობილი მწვრთნელის ვ. ქარსელაძის აღზრდილები კარგა ხანია საერთო აღიარებით სარგებლობენ. სხვათა შორის, ნ. ალექსანდრია პირველად მონაწილეობდა ნახევარფინალში და ამან როდი შეაკრთო იგი.

ახლა მთავარია, ჩვენი ორივე ფინალისტი კარგად მოემზადოს ძნელი ჩემპიონატისთვის. დასამალი არაფერია: ორივესგან წარმატებას ველით.

მოულოდნელი იყო ა. ჩაიკოვსკაიას წარუმატებლობა. მან მხოლოდ ფინიშზე გამოასწორა მდგომარეობა, როცა დასკვნით ტურში მოუგო ც. კახაბრიშვილს და დაეწია მას. ამით ა. ჩაიკოვსკაია ფინალში თამაშის პირველი კანდიდატი გახდა. ამ შეხვედრაში ც. კახაბრიშვილს ყაიმიც ყოფნიდა ფინალში მოსახვედრად. თუ ოსტატის თამაში არ გვაკმაყოფილებს, ეს არ ითქმის ც. კახაბრიშვილზე. მან ძლიერად ჩაატარა ტურნირი, რომელშიც თითქმის ბოლო დღემდე ლიდერებს შორის იყო.

ნახევარფინალების ჩვენს სხვა მონაწილეთა მიმართ ჯერჯერობით არ გვეთქმის საყვედური. ახალგაზრდები ც. კობაიძე და ნ. ჩიქობავა ხომ ამ ტურნირების დებიუტანტები იყვნენ. მთავარი ისაა, რომ მათ შესანიშნავი სკოლა გაიარეს, ძვირფასი გამოცდილება მიიღეს და ეზიარნენ დიდ ჭადრაკს.

თ. გიორგაძე.

## ბოლო 2 წუთში

**ბოლონია.** აქ დამთავრდა ფეხბურთელთა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც მონაწილეობდა მოსკოვის „სპარტაკი". ფინალურ ასპარეზობაში ერთმანეთს შეხვდნენ იტალიის ექს-ჩემპიონი „ბოლონია" და მოსკოვის „სპარტაკი".

პირველი ტაიმი უშედეგოდ დამთავრდა. მატჩის 88-ე წუთამდე უპირატესობას ვერცერთმა გუნდმა ვერ მიაღწია და აი, ფინალური მატჩის დამთავრებას აკლდა 2 წუთი, როდესაც სპარტაკელმა ნახევარმცველმა გოლოდუხოვმა გახსნა ანგარიში. 1 წუთის შემდეგ კი ჰუსაინოვმა მეორე ბურთი გაიტანა იტალიელთა კარში.

ტურნირში I ადგილი დაიკავა მოსკოვის „სპარტაკმა". II — „ბოლონიამ", ხოლო III — რუმინეთის „სტიაგულ როშუმ".

ფეხბურთი

## ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასზე

გასულ ოთხშაბათს გაიმართა ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების რამდენიმე შეხვედრა.

**ბერლინი.** გდრ-ის „ფორვერტსმა" კვლავ დიდი ანგარიშით — 6:0 მოუგო ირლანდიის ჩემპიონ „უოტერფორდს" (როგორც ცნობილია, ამ გუნდების პირველ შეხვედრაში ანგარიში იყო 6:1). გდრ-ის ჩემპიონის მომავალი მეტოქე იქნება პოლონეთის „გურნიკი".

**ლა-ვალეტა.** ბულგარეთის ჩემპიონმა „ჩერვენო ზნამიამ" მალტის დედაქალაქში დაამარცხა ადგილობრივი „შლიემა უონდერერსი" — 2:1.

**ლუქსემბურგი.** ქვეყნის ჩემპიონმა „არისმა" ფრედ დაამთავრა მატჩი ჩრდილოეთ ირლანდიის „ლინფილდთან" — 3:3. საპასუხო შეხვედრა მოეწყობა ბელფასტში, 14 სექტემბერს.

**ვენა.** იუგოსლავიის „ვოივოდინამ" აქ მოუგო ავსტრიის „ადმირალს" — 1:0.

**რეიკიავიკი.** საფრანგეთის „ნანტმა" ისლანდიის დედაქალაქში დაამარცხა ქვეყნის ჩემპიონი „რეიკიავიკი" — 3:2.

## მეორე შეხვედრაც

**სტამბოლი, 8 სექტემბერი.** გაიმართა ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის გათამაშების მორიგი შეხვედრა ადგილობრივი „გალათასარაისა" და ვენის „რაპიდის" ფეხბურთელთა გუნდებს შორის. გაიმარჯვეს ავსტრიელებმა — 5:3. „რაპიდმა", რომელმაც პირველი შეხვედრაც მოიგო (4:0), მოიპოვა გათამაშების შემდგომ ტურში მონაწილეობის უფლება.

კარგად ჩაატარეს მატჩი საბჭოთა არბიტრებმა კ. ანძულისმა (კაუნასი), ნ. კრილოვმა (კუიბიშევი) და პ. კაზაკოვმა (მოსკოვი).

ფეხბურთი

## პირველი სენსაცია

**როტერდამი, 8 სექტემბერი.** აქ გაიმართა ევროპის ჩემპიონატის პირველი მატჩი, რომელიც სენსაციური შედეგით აღინიშნა: უნგრეთის ნაკრებმა დიდი გაჭირვებით მიაღწია ფრეს ჰოლანდიის ეროვნულ ნაკრებთან — 2:2.

ანგარიში 22-ე წუთზე მასპინძლებმა გახსნეს, ხოლო 50-ე წუთზე იგი ორამდე გაზარდეს. 71-ე წუთზე მოლნარმა (უნგრეთი) 1 ბურთი გაქვითა, ხოლო მსაჯის საფინალო სასტვენამდე 2 წუთით ადრე ფარკაშმა თავისი გუნდი მარცხს გადაარჩინა.

როგორც ცნობილია, ევროპის პირველობაში 31 ქვეყნის ეროვნული ნაკრები გუნდები მონაწილეობენ. უნგრელები და ჰოლანდიელები გდრ-ისა და დანიის კოლექტივებთან ერთად V ჯგუფში გამოდიან. ჯგუფური ტურნირები უნდა დამთავრდეს 1968 წლის 1 იანვრამდე, ხოლო იმავე წლის ივნისში ცნობილი გახდება საპატიო ჯილდოს მფლობელის ვინაობა.

## [illegible]

◆ **ბუქარესტი, 9 სექტემბერი.** ჭაბუკ მაგიდის ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირზე პრიზების უმრავლესობა საბჭოთა სპორტსმენებმა მოიპოვეს. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ უნგრეთის, რუმინეთის, გფრ-ისა და საბჭოთა ჩოგბურთელები. ომსკელი გ. სტრელნიკოვი პირველი იყო ჭაბუკთა პირად ტურნირში, ხოლო გოგონათა გუნდურ ასპარეზობაში ტოლი არ ყავდათ მოსკოველ ნ. ივანოვასა და ოდესელ გ. ერიომენკოს. ჭაბუკთა გუნდური ასპარეზობა მოიგეს უნგრელებმა. საბჭოთა სპორტსმენები II ადგილზე აღმოჩნდნენ.

◆ **ფხენიანი, 9 სექტემბერი.** სსრ კავშირის ნაკრების ფრენბურთელმა ქალებმა აქ წააგეს კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნულ გუნდთან — 2:3.

◆ **ბელგრადი, 9 სექტემბერი.** იუგოსლავიის მრავალდღიანი ველორბოლის V ეტაპი კოტორი — მაკარსკი (232 კმ) მოიგო ჩეხოსლოვაკიელმა ჰ. პიხლმა — 5:54.06. ასეთივე დროით საბჭოთა ველოსიპედისტებმა ა. დულინმა და ა. კონდრატიევმა შესაბამისად IV და VI ადგილები დაიკავეს. 5 ეტაპის შემდეგ ლიდერობს იუგოსლავიელი რ. ვალენჩიჩი — 19:33.09. გუნდურშიც იუგოსლავიელები არიან წინ — 58:44.10. საბჭოთა ველოსიპედისტთაგან საუკეთესო ი. პომინოვი X ადგილზეა (19.45.31), ხოლო საბჭოთა გუნდი IV ადგილზეა — 59:09.30.



ევროპის მძლეოსანთა ჩემპიონატში ქალთა ყველა სპრინტსა და სიგრძეზე ხტომაში ასპარეზობა პოლონელთა ტრიუმფით დამთავრდა. 100 მეტრზე რბენაში ე. კლობუკოვსკას, ხოლო 200 მეტრზე რბენასა და სიგრძეზე ხტომაში ი. კირშენშტეინის გამარჯვების შემდეგ ეს დუეტი მეორე წყვილს — ე. ბედნარეკსა და დ. სტრაშინსკას შეუერთდა და საასპარეზოდ გამოვიდა. ესტაფეტაში 4×100 მეტრზე. კვარტეტს სახიფათო მეტოქეობა გაუწიეს გფრ-ისა და სსრ კავშირის გუნდებმა, მაგრამ პოლონელთა დამარცხება მაინც ვერ შეძლეს.

სურათზე: პოლონეთის „კვარტეტი" მარცხნიდან მარჯვნივ — ბედნარეკი, კირშენშტეინი, კლობუკოვსკა და სტრაშინსკა.

ფოტო ე. ვერმინსკისა.

## [illegible]

თავისუფალი სტილით სპრინტერულ დისტანციაზე ცურვაში ჩვენს ქვეყანაში ერთ-ერთი საუკეთესოა მოსკოველი სპორტის ოსტატი ლ. ილიჩოვი. მას შემდეგ, რაც 200 მეტრზე სსრ კავშირის ახალი რეკორდი დაამყარა, იგი მუდამ მაღალ შედეგებს აჩვენებდა და ევროპის პირველობის საგზურიც მოიპოვა. უტრეხტში ილიჩოვმა ჩემპიონის ოქროს მედალი დაისაკუთრა კომბინირებულ ესტაფეტაში 4×100 მეტრზე.

სურათზე: ლ. ილიჩოვი ეტაპზე ცურვის დროს.





მოსკოვში, ნორჩ პიონერთა სტადიონზე ამას წინათ გაიმართა საერთაშორისო ამხანაგური მატჩი რეგბიში. ჩვენი ქვეყნის დედაქალაქის საკლუბო გუნდების ნაკრების წინააღმდეგ თამაშობდა ვარშავის „ოკენცი". ასპარეზობა მასპინძლების უპირატესობით მიმდინარეობდა და მათივე გამარჯვებით (18:9) დამთავრდა.

სურათზე: შეჯიბრების მომენტი.

ფოტო ვ. შანდრინისა (საკდესი).

რედაქტორის მოადგილე
ზ. ჯაფარიძე.

მთამსვლელობის რესპუბლიკური და თბილისის ფედერაციები მწუხარებით იუწყებიან

**თეიმურაზ მელიას, მინაგო (ბიჭიკო) ოტიაშვილის, გურამ წოწორიას, დიმიტრი ჭავჭანიძისა და დავით ხარაშვილის**

ტრაგიკულად დაღუპვას და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულთა ოჯახებს.

## თბილისის სპორტულ ბაზებზე

**ველოსპორტი (ტრეკი).** ველოსტადიონი (კამოს ქ. № 89). **10-11 სექტემბერი. პირად-გუნდური შეჯიბრება რესპუბლიკის თასზე.** დასაწყისი 10-ში 18 ს., 11-ში — 17 ს.

**წყლის თხილამურები.** თბილისის ზღვის წყალჯომარდობის სადგური. **10-12 სექტემბერი. სსრ კავშირის პირად-გუნდური პირველობა.** მონაწილეობენ მოკავშირე რესპუბლიკათა, მოსკოვისა და ლენინგრადის ნაკრები გუნდები. დასაწყისი 11 ს.

**თავისუფალი ჭიდაობა.** ვ. ი. ლენინის სახელობის სპორტდარბაზი (კონსტიტუციის ქ. № 6), **10-11 სექტემბერი. საკავშირო პირადი პირველობა ახალგაზრდა სპორტსმენთა შორის.** დასაწყისი 12 ს. და 18 ს.

**სასტენდო სროლა.** მოკავშირის სტენდი (ვაკე) **10-11 სექტემბერი. ქალაქის პირად-გუნდური პირველობა.** დასაწყისი 9 ს.

**მძლეოსნობა.** „დინამოს" სტადიონი. **10-13 სექტემბერი. სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების საკავშირო პირველობა.** დასაწყისი 10 ს.

ИНДЕКС 66418 საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14. 1 უე 01765